№ 274 დეკემბერი 18, ხუთშაბათი 1886 დეკემბერი 18, ხუთშაბათი № 274

გაზეთი ღირს

თვე	მან. კ.	თვე	მან. კ.
12	10 —	6	6 —
11	9 50	5	5 50
10	7 75	4	4 75
9	8 —	3	3 50
8	7 25	2	2 75
7	6 50	1	1 50

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, ახალ-ბებუთოვის ქუჩაზედ, სახლი № 9, შავერდოვის საგაზეთოს, ცენტრალურსა ტგრიქუროვის წიგნების მაღაზიებს.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპ.

1877—1886 წელიწადი საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1886 წელიწადი

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

ივერია

გამოვა 1887 წელსაც იმავე პროგრამითა, როგორც აქამდე.

ვისაც ჰსურს დაიკვეთოს გაზეთი ამ 1887 წლისთვისაც მიჰმართოს:

ტფილისში: ა) თვითონ რედაქციას, (ახალ-ბებუთოვის ქუჩა, სახლი ზუბალოვისა, № 9. ბ) შავერდოვის საგაზეთო სააგენტოს (გოლოვინის პროსპექტი, ალექსანდრეს ბაღის ყურეში).

ქუთაისში: ვარლამ ჭილაძის წიგნის მაღაზიას.

ხონში: ნესტორ წერეთლის წიგნის მაღაზიას.

ბათუმში: მ. ნათაძეს.

ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ"

გაზეთის ფასი დაბეჭდილია გაზეთის სათაურშივე, ხოლო სრული პირობანი გაზეთის დაკვეთისა გამოცხადებულია უკანასკნელს გვერდზედ.

ტფილისის კლუბის დარბაზში
შაბათს, დეკემბრის 20 ს,
დანიშნულია
სამუსიკო-სალიტერატურო

საღამო

წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების სასარგებლოდ.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნ ბ. მ. ზარუდნაია, ნ. მ. გაბუნია-ცაგარლისა და ე. ი. ახლამაზოვისა, ბ-ნნი მ. მ. იპოლიტოვ-ივანოვი, გ. ო. ყარდანაშვილი, თ. აკაკი წერეთელი, თ. ვ. მ. თუმანიშვილი, კ. ს. მესხი, ჰ. ჰ. გორსკი და ბ. პრაბიკი.

კონცერტის შემდეგ დაიწყება ცეკვა.

ბილეთები ისყიდება კლუბის შვეიცართან.

დასაწყისი საღამოს 8 საათზედ.

ქართული თეატრი

ხუთშაბათს, 18 ქრისტიშობისთვეს, ბანკის (არწრუნისეულ) თეატრში ქართულის დრამატიულის საზოგადოების დასისაგან ბბ. კ. მესხის და კ. ყიფიანის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება:

ჟან ბოდრი

დრამა 4 მოქმედებად, თხზ. ვაკრისა, თარგ. თ. მაჩაბლისა.

მოთამაშენი: ბბ. ყიფიანი, მესხი, აწყურელი, მაქსიმიძე და სხვანი; ქქ. საფაროვი-აბაშიძისა, ლეონიძისა.

დასაწყისი 7½ საათზე.

ტფილისი, 17 დეკემბერი

ბოლგარიის მთავრად დღეს ორი კანდიდატია. ერთი თავადი ნიკოლოზ მეგრელიისა და მეორე პრინცი კობურ-გოთისა. თავადი მეგრელიისა ჰსურს რუსეთსა და სულთანმა ოსმალეთისამ რაკი შეიტყო, რომ რუსეთის სურვილი ეს არისო, მაშინვე ინგლისისა და ავსტრი-ვენგრიის სამწუხაროდ მიემხრო ამ სურვილს და ოფიციალურად გამოაცხადა თავადის მეგრელიის კანდიდატობა. ესეთი განზრახვა თვისი აცნობა ყველა სახელმწიფოებს და თან მოიხსენია, რომ იმედი მაქვს ყველა სახელმწიფო თავის მომხრეობას არ მოაკლებს ამ კანდიდატობასა მით უფრო, რომ თვით რუსეთსა ჰსურსო. გარდა ამისა თვით ბოლგარიის რეგენტობას წარუდგინა თავადი მეგრელიისა, ვით ოფიციალურად მიღებული კანდიდატი ოსმალეთისა. დღეს თავად მეგრელიის კანდიდატობას მიმხრობია თვით გერმანიაცა და ბოლგარიის რეგენტთა დეპუტაციისათვის ბერლინში პირ-და-პირ ურჩევიათ, სხვა გზა არა გაქვთ, უნდა რუსეთს აამოთ და თავადი მეგრელიისა ამოირჩიოთ ბოლგარიის მთავრადაო. ამ სახით დღეს ყველასათვის ცხადია, რომ თავად მეგრელიის კანდიდატობას მხარს აძლევენ რუსეთი, გერმანია და ოსმალეთი. ამავე დროს ავსტრი-ვენგრიამ წამოაყენა თავისი კანდიდატი პრინცი კობურგისა, თავისის ჯარის „პორუჩიკი" და თუმცა ჰფიცულობს, რომ ამის კანდიდატობა თავში პირველად მე არ მომსვლია და თვით ბოლგარიის დეპუტაციამ, ჩემდა დაუკითხავად და ჩემდა უცნობლად, თვითონა სთხოვა პრინცსა ბოლგარიის მთავრის გვირგვინი მიეღო, მაგრამ ეხლა პრინცი კობურგისა ავსტრი-ვენგრიის და ინგლისის კანდიდატად არის აღიარებული...

ძნელი საფიქრებელია, რომ პრინც კობურგის კანდიდატობა გაიყვანონ, თუნდა იტალიაც მიიყენონ. ნიშნები და საბუთებია ვიფიქროთ, რომ ამ ბოლოს ხანებში გერმანია მეტად მოუტკბა რუსეთსა. თუ ეს ესრეა და ისიც ვიცით, რომ რუსეთმა უკვე მტკიცედ წარმოსთქვა თვისი უარი პრინც კობურგის კანდიდატობაზედ და ეს პრინცი არც ოსმალეთსა ჰსურს, მაშინ უეჭველია, ამ კანდიდატობამ ჩაიღუპლის წყალი უნდა დალიოს. ამბობენ, პრინც კობურგის კანდიდატობას და სულთანმა თავადი მეგრელიისა ოფიციალურად გამოაცხადა თავის კანდიდატად, როგორც რუსეთის მიერ მოწონებული და მოწადინებული. ბოლგარია დღეს ისეთს მდგომარეობაშია, ნამეტნავად მისი რეგენტობა, რომ სულთანის წყენას არ შეიძლება არ მოერიდნენ. სულთანი ოსმალეთისა ჯერ კიდევ ბოლგარიის მბძანებლად და ბატონად ითვლება და ამიტომაც მასზედ ბევრი რამ არის დამოკიდებული. ამ მხრით ბოლგარია ეცდება ოსმალეთთან მაინც საქმე არ წაიხდინოს, როგორც წაიხდინეს რუსეთთან და ესეთი ძლიერი და გავლენიანი სახელმწიფო შემოიწყრომეს.

პრინც კობურგ-გოთის კანდიდატობას ერთი სხვა მიზეზიც ამოსჩენია თვითონ ბოლგარიის კონსტიტუციაში. პრინცი კობურგისა კათოლიკეთა სარწმუნოებისაა მაშინ, როდესაც თვითონ ბოლგარია მართლ-მადიდებელის სარწმუნოებას აღიარებს. 1879 წლის ტირნოვის კონსტიტუცია ამბობს, რომ ბოლგარიის მთავარი და მისნი შემდგომნი სხვა რჯულისა ვერ იქნებიან თუ არ მართლ-მადიდებელისანი (38 მუხლი, თავი IX). მარტო პირველი მთავარი, ბოლგარიის სამთავრო ტახტისათვის ამორჩეული, თუ სხვა სარწმუნოებისაა, შესაძლოა იმავ სარწმუნოებაზედ დაჰრჩეს. პრინცი კობურგისა, ვითარცა კათოლიკე, ესე იგი სხვა რჯულის მექონი, არ შეიძლება ამორჩეულ-იქმნას, თუ რჯულს არ გამოიცვლის და მართლ-მადიდებლობას არ მიიღებსო. ამ შემთხვევაში ჯერ ან უნდა იგი მუხლი კონსტიტუციისა გაუქმდეს თავისის კანონიერის გზითა, ან პრინცი კობურგისა თავის სარწმუნოებას უნდა გადუდგესო. რამდენად მოსახერხებელია და შესაძლებელი ან ერთი, ან მეორე, მაგას დრო გამოაჩენს. ხოლო ეს კი ვიცით, რომ ამისთანა საბუთი ბევრ რიგად დაჰხლართავს პრინც კობურგის კანდიდატობის საქმეს, და უამისოდაც გაჭიანურებული საქმე ბოლგარიის მთავრის ამორჩევისა უფრო გაჭიანურდება, თავადი მეგრელიისა სხვათა-შორის იმით არის წინ პრინც კობურგზედ ამ შემთხვევაში, რომ მართლ-მადიდებელია და მის მთავრად ამორჩევას ეს მიზეზი წინ ვერ გადეღობება.

ახალი ამბავი

⁂ გუშინ, საღამოს 7½ საათზედ, გოლოვინის პროსპექტზედ, «კავკაზ»-ის რედაქციის პირდაპირ ერთმა ფაიტონმა ქვეშ მოიტანა ერთი 7—8 წლის ყმაწვილი და საშინლად დაასახიჩრა. დამნაშავე მეფაეტონემ გაასწრო და გაიქცა. საბრალო ყმაწვილი თითქმის ნახევარი საათი უპატრონოდ ეგდო ქუჩაში და ერთი პოლიციელი არ გამოჩნდა, თუმცა მოსიარულეთ ბევრი უძახეს. ძნელად თუ ყმაწვილი მორჩეს, რადგანაც ადამიანის სახე აღარა აქვს, ისეა დასახიჩრებული.

⁂ ჩვენ შევიტყეთ, რომ დრამატიულს საზოგადოებას განზრახვა აქვს

ფელეტონი

წერილები სპარსეთიდამ.

I

ქალაქი ქირმანშაი. ქირმანშაი არის ერთი ძველის-ძველი საუკეთესო და ბუნებით მდიდარი სამეუფო ქალაქი. აქ ერთ დროს მეფედ მჯდარა ხოსროვ-შაჰი ქრისტეს შემდეგ 200 წლებში.

ქალაქი არის გარშემორტყმული თვალ-უწვდენელის მინდვრებით და სამოთხესავით გარდაშლილ ვენახ-ბაღებით შემოსილი. ბუნებით მშრომელს ხალხს უხვად აძლევს მოსავალს აქაური მიწა. მიწა ძრიელ ნოყიერია. თუმცა წყალი ძალიან ბლომად არის, მაგრამ მიწას ურწყავადაც უხვად მოჰყავს ხორბალი, ქერი და ბრინჯი. საუბედუროდ, თითონ მუშა ხალხს ცოტა ჰრჩება ხელში, მთელს მოსავალს შუაზედ უყოფენ გულ-ქვა და შეუბრალებელნი მებატონე ხანები.

ეს ათი წელიწადია, რაც შესდგომიან ხაშხაშის თესვას და ძალიან ბლომადაც მოჰყავთ. ხაშხაშის ნორჩ ყვავილებს ორ-სამ ალაგას დანით დაჰსერავენ და იმ დასერილებითგან გამონადენ რძით ამზადებენ თრიაქს, რომელიც კარგ ფასად ისყიდება. ერთი გირვანქა დაუმზადებელი თრიაქი ღირს ორიდამ ორ მანეთ ნახევრამდე; დამზადებული სამ-ნახევრიდამ ვიდრე 4 მანეთამდე. აქ ჰქსოვენ აგრეთვე საუკეთესო ხალიჩებსა.

ეს მშვენიერი და ბუნებით მდიდარი ქვეყანა კიდევ ბევრ სხვასაც იძლევა. მაგალითად, ქირმანშაის გარშემო სოფლებში უხვად მოჰყავთ ქეთირე, რომელიც არის ჩირგვის ლეროებითგან გამონადენი წებო და იხმარება უცხო ქვეყნის ქარხნებზე მიტკლისა და ჩითეულის თახსის მისაცემად. მოდის აქ ბამბა, მატყლი, შავი და ყვითელი გუნდა, ბევრია ბეწვეული. შინაური საქონელი დიდ შელავათს აძლევს აქაურებს.

II

ქალაქში 15,000 მოსახლე სცხოვრებს. მომეტებული ნაწილი მცხოვრებლებისა შიის ერთ-მორწმუნე მაჰმადიანი სპარსები არიან (შია), 400 მოსახლემდე ქურთები, სარწმუნოებით შაფეი (სუნნი) მაჰმადიანები, 200 მოსახლემდე ალი-ელლაი, რომელთაც მარტო ალია სწამთ. აქ ვიდრე 120-მდე სასწავლებელი ითვლება, სულ საზოგადოებისაგან გამართული. თითო სასწავლებელში 4-ითგან 10-მდე მეტი მოსწავლე არ იქნება. სულ 2 სასწავლებელი არ მოიძებნება ისეთი, რომელშიაც 15 ან 20-ზედ მომეტებული მოსწავლე იყოს. მასწავლებლებად უმეტესს ნაწილად მოლლები არიან, რომელნიც სულ მცირე სასყიდელს იღებენ თავიანთ მოწაფეთაგან.

ანბანს და ასოების გადაბმას რაკი ცოტად გაიჩვევს მოსწავლე, მაშინათვე აძლევენ მუსაფს (ყორანს). შემდეგ ყორანისა ასწავლიან გულისტანის (წიგნია მშვენიერის არაკებით და ლექსებით სავსე, ქილილა დამანის მსგავსი) მოთხრობებს. ამის შემდეგ ასწავლიან ჰაფიზის, საადის და ქულიათის პოემებს. რაკი ამათაც დაასრულებენ, მერმე შეუდგებიან ჰედისს, რომელიც არის სასულიერო მოთხრობა მაჰმადიანთა სჯულისა. ამით თავდება სპარსელის სწავლა-განათლება. შაჰნამეს (სპარსული ისტორია) ძალიან იშვიათად სწავლობენ და დიდ ცოდვადაც მიაჩნიათ მისი კითხვა, რადგან მაჰმადზედ უწინ კერპ-მსახურების დროს შეეხება.

III

თვითონ ქალაქი, თავის უპლანოდ მიყრილ-მოყრილის სახლებით, უშნოდ მიხვეულ-მოხვეულის ვიწრო ქუჩებით, უბრალო სოფელს მოგაგონებთ. ქუჩებში ისეთი უსუფთაობაა, ისეთი მძიმე სუნი სდგას ყოველთვის, რომ კაცს სულს შეუხუთავს. თვითონ ხალხი თითქოს სრულიად აინუნშიაც არ იგდებს ამ უსუფთაობას და თითქო განგებ უფრო ხელს უწყობს ამ სიბინძურეს. აი ერთი ამის მაგალითი. ამ დღეებში ერთი სპარსელი ჰასან-ჰუსეინის საფლავის სამთხვეველად მიდიოდა ქელბელაში თავის ცოლშვილით და რამდენისამე დღით ამ ქალაქში დარჩა შესასვენებლად. ამ დროს მოუკვდა ერთი 4—5 წლის ვაჟ-შვილი. მკვდარი გამოიტანეს ქარვასლის ეზოში და საზოგადო აუზის ნაპირას დაუწყეს საპნით რეცხვა. მკვდრის ნაბანი წყალი ისევ აუზში ჩადიოდა. გარდა ამისა თვით აუზშიაც რამდენჯერმე ამოაველეს კიდეც მიცვალებული. ამავე აუზში პირსაც იბანენ, ფეხებსაც და შიგვე სარეცხსაც ავლებენ. კიდევ ვინ მოსთვლის, რა ბინძურობას არ სჩადიან ამ აუზში და ესევე წყალი კი აქედან მილებით გაჰყავთ სახლებში, რომელსაც ყოველგან საჭმელში, სასმელად და ჩაისათვის ხმარობენ! ყველა ზემოდ ნათქვამს ესენი თავიანთ თვალით ჰხედავენ და ყურადღებას-კი არ აქცევენ. თუ ეტყვი რასმე, პასუხად იმას მოქცემენ, რომ წყალი სიბინძურით არ წახდებაო.

IV

აქ უფრო მეტად მუშა ხალხი სცხოვრობს, აქაური ხალხი შესაზარავი და თან

ამ ერთის თთვის განმაელობაში ისეთი პიესები წარმოადგენინოს სათეატრო დასს, რომლებშიაც ბ-ნი კ. მესხს უმთავრესი როლები ექნება, მაგალითად, „კინი“, „მასკარადი“, „შეშლილია“, „მეფე და პოეტი“ და სხვანი.

⁂ კახეთიდამ გვწერენ, წინა მხარს არ მოშორდა საქონლის ჭირიო. თურქული მოვიშორეთ და ახლა რაღაც უცნაური სენი დაერია საქონელსაო. ეს სენი, რომელსაც შეხვდება, ისე აბახანებს, თითქო ციება შეჰყრია და მერე ჰკლავს ტანჯვა-წვალებითაო.

⁂ იქიდამე გვწერენ: 12 დეკემბერს სოფ. გურჯაანის მისავალში უბედურება დატრიალდაო. ახტალის ხევის დალმართში დაქანდა ფურგუნი და გადაბრუნდა. ფურგუნიდამ გადმოვარდა ღვინით სავსე ბოჩკა და ეს სავსე ბოჩკა დაეცა წელზე მეფურგუნე მალაკანს. უბედურმა მეფურგუნემ სულ რამდენიმე საათი-ღა იცოცხლაო.

⁂ ტფილისის საქალაქო გამგეობას განზრახვა თურმე აქვს ვრცელი წერილი მოახსენოს საბჭოს იმის თაობაზე, რომ ქალაქი გახუფთავდეს და გამშვენიერდესო. ყველა ეს ადვილი იქნება მაშინ, როცა წყლის გამყვანი მილები გაკეთდებაო.

⁂ გაზ. „Рус. Кур.“-ს სწერენ პეტერბურგიდამ: ვერეშჩაგინმა მოახსენა ამას წინად რუსეთის კერძო საეკონომიო საზოგადოებას, რომ შარშან დაიწყო შესწავლა ჩაის ბუჩქის საქმისა კავკასიაში აწ გარდაცვალებულმა აკადემიკოსმა ბუტლეროვმაო. ეს საქმე ახლაც არ უნდა შესწყდესო. მოსკოველი ფულის პატრონი ბ-ნი ხლუდოვი ყოველ გვარის ხარჯისათვის მზად არის, ოღონდ-კი ეს საქმე არ შესწყდესო. ბ-ნს ხლუდოვს კავკასიაში ბლომად აქვს მამული ნასყიდი. ეს მიწები მან გასწმინდა და შეამუშავა ჩაის ბუჩქისათვის და ამიტომ უფროა ასე მოწადინებული ამ საქმისაო.

⁂ ქალაქ შემახიისაკენ დიდ-ძალნი პურის ვაჭარნი წასულან. ამის გამო იქ პურს ფასი თან-და-თან უფრო ემატება თურმე. თუ ერთსა და ორს კვირას გასტანა ასე, ფუთი ფქვილის ფასი 2 მანათამდე ავაო.

⁂ „Нов. Время.“ ამბობს, რომ ერთს კერძო კაცს განზრახვა აქვს მერმისს გაზაფხულიდამ დიდ-ძალის სელის თესვა დაიწყოს კავკასიაშიო.

⁂ ფინანსთა სამინისტრო ახალს პროექტს არდგენს იმის თაობაზე, რომ შემცირებულ იქმნას ბაჟი არაყზედ, რომელსაც თუთისაგანა ჰხდიანო. (Моск. Вѣд.)

⁂ ესევე გაზეთი ამბობს, მთავრობას მოუვიდა თხოვნა ტფილისის საზოგადოებისაგან იმის თაობზედ, რომ ამ ქალაქში გაიმართოს ხოლმე ყოველ-წლივ იარმუკა სასოფლო მეურნეობისა, ხვნა-თესვისა და სამადნეულო ნაწარმოებთათვისაო.

⁂ აი რამდენი სხვა-და-სხვა საქონელი შემოსულა უცხო ქვეყნებიდამ ტფილისში 1 იანვრიდამ 1 დეკემბრამდე 1886 წლისა. გერმანიიდამ—82,332 მანათისა, ინგლისიდამ—190,602 მ., საფრანგეთიდამ—293,498 მან., ავსტრი-ვენგრიიდამ 201,956 მან., ბელგიიდამ—160,192 მან., და ოსმალეთიდამ — 47,610. სულ 990,316 მან.

ამ საქონელში ბევრი ყოფილა სხვა-და-სხვა გვარი მადნეული და ლითონი. მაგ., რკინეული და ფოლადეული 612 ათას ფუთამდე მოსულა ტფილისში, სპილენძი წითელი და მწვანე—1,260 ფუთი, თუნუქა—123 ფ., კალა—295 ფ., თუჯი (სხვა-და-სხვა სახმარ ნივთებისა და ვეჯის სახით) 120 ფ., ტყვია—1768 ფ., ცინკი—290 ფ., ვერცხლის წყალი—26 ფუთი.

ამას გარდა ბუნებითი წმინდა სანთელი (პარაფინი) 61 ფ. მოუტანიათ, მოსულა აგრეთვე გუდრანიცა, ბაზელინი—22 ფ. ღვინო ბოჩკებით—1,010 ფ., რომი, კონიაკი, შამპანური ღვინო და სხვანი—14,866 ბოთლი, პორტერი—3,451 ბოთ, პივა—2,658 ბოთ., შუშხუნა და მადნის წყალი—17,926 ბოთლი. სხვა-და-სხვა გვარი ძვირფასი ხე თუმცა ჩვენშიაც ბევრია, მაგრამ სამზღვარ გარეთიდამაც მოუტანიათ 167 ფუთი და 27 გირვანქა. საათები დიდ-ძალი მოსულა—1088 ცალი, ანუ 15,665 მანათისა. საათებში ბაჟად აულია მთავრობას 1073 მან. როიალები და პიანინო 8 ცალი მოსულა 7 ათასის მანათისა; ბევრი მოსულა აგრეთვე სხვა-და-სხვა კაცებისა და მეტადრე ქალების მოსართობელი მასალა. მაგალითად, მარტო **ფერ-უმარილი 38 ფუთი მოხუდა** (!), ხელ-საცხებელნი, დუხები, სატუალეტო ძმარი, საპონი და სხვანი 89 ფუთი, სულ თითქმის 10 ათასის მანათისა. (გაზ. „ნოვ. obz.“)

⁂ ნავთლუღის ნავთის წყაროებს, როგორც ეტყობა, ბედი გახსნია. აქამდე ამ წყაროებს თითქმის ყურადღებას არ აქცევდნენ, ახლა-კი, როგორც ამბობს ზემოხსენებულივე გაზეთი, ამ წყაროების შემუშავება განუზრახავს ერთს უცხოელთა კამპანიას, რომელსაც ამ საქმისათვის პირველ ხანადვე 30 ათასი მანათი ფული გადაუდვია.

⁂ ამბობენ, რომ უმაღლესს მთავრობას გადაუწყვეტია საბოლოოდ, თავად იკისროს ნავთის-გამყვანის მილის გამართვა ბაქოდამ ბათუმამდეო.

⁂ ბაქოდამ სწერენ გაზ. „მშაკს“, რომ აქ ხმა დადის, ვითომ დეკემბრის 11-ს ნობელმა ყოველივე თავისი ქონება როტშილდს მიჰყიდა 27 მილლიონ მანათადაო.

⁂ რაჭიდამ სწერენ გაზ. „კავკაზს“, რომ ინჟინერებმა გაათავეს თავისი საქმე გზა-ტკეცილის გაყვანის თაობაზე ქუთაისიდამ ონამდე და ჩქარა თვით გზა-ტკეცილის გამართვასაც შეუდგებიანო.

⁂ ამავე გაზეთს გაუგონია, რომ ტფილისის 1 კლასიკურის გიმნაზიის დირექტორის თაოსნობით, ამ სასწავლებლის ერთ-ერთს დიდს დარბაზში საშობაოდ და საახალწლოდ დაიწყობა სახალხო ლექციების კითხვაო.

⁂ 16 დეკემბერს, სალამოს 7 საათზე, 1 ნაწილში მოხელე ილტონოვის სახლში, ტფილისის ბალოსნობის სკოლის შეგირდს 17 წლისას ივანე დედუნოვს თავის მოკვლა უნდოდა და ამისათვის დანა დაიკრა ყელში. წყლული საშიშარი არ არის. დედუნოვი სავად-მყოფოში გაჰგზავნეს. გამოძიება სწარმოებს.

⁂ 16 დეკემბერს მადათოვის კუნძულზედ დროგმა გასჭყლიტა ტფილისის მოქალაქე გეურქა სარქისოვი, 30 წლისა. მიზეზი მისივე გაუფრთხილებლობა იყო. გვამი მიცვალებულისა გადაეცა მის დედ-მამას დასამარხავად.

⁂ 15 დეკემბერს, მე-4 ნაწილში, ტფილისის მოქალაქის ალიხანოვის სახლიდამ მოიპარა მისმავე მოსამსახურემ კონსტანტინე გეორგობიანმა სხვა-და-სხვა ნივთი 148 მანათისა. დამნაშავე დაიჭირეს.

დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

სოფ. ჭალა-ტყე. სოფელი ჭალატყე მდებარეობს დაბა ყვირილას ახლო, ოთხის ვერსტის მანძილზე. ეს სოფელი, როგორც თვითონ სახელი გვიჩვენებს, ჭალებისა და მთიან ადგილებისაგან შესდგება. ჭალის ადგილები კარგს მოსავალს იძლევა, მთიანი კი ძრიელ მცირედს მოსავალს, რადგანაც მიწა ძალიან ქვიანია.

წლევანდელი მოსავალი კი, ჭალაშიაც და მთაშიაც, როგორც სხვა სოფლებშიაც, აქაც ძალიან ნაკლები იყო. სიმინდი მართალია ბევრი მოვიდა, მაგრამ რა სიმინდი—მეხუთედი ნაწილი მოსვლისა სულ ჭყლინტია. სიმინდის შემოსვლის დროს ავი დარები დაიჭირა და ტარომ გახმობა ველარ მოასწრო. ამიტომ წელს სიმინდის მოუსავლობამ ს. ჭალა-ტყელებს დიდი ზარალი მისცა. ღვინის მოსავალზე ხომ აღარა ღირს ლაპარაკი: ჯერ ხომ იმას ვწუხდით, რომ ამ ბოლოს წელში ცოტას ისხამდა. რაც იყო, ისიც ვერ დამწიფდა და წახდა. ამიტომ აქაურ სოფლებში წელს საზოგადოდ ღვინოები სულ მჟავეა. საზოგადოდ ისე დამცირდა აქ ღვინის მოსავალი, რომ ის გლეხი, რომელიც წინად ყოველ წელიწადს ჰყიდდა ხუთ-ხუთ საპალნეს, წრეულს ერთ ჩაფსაც ვერ გაჰყიდის. ერთის სიტყვით, წრეულს ს. ჭალატყეში საზაფხულო ღვინო თუ დადგება, თორემ კაი ღვინოს ვერ იშოვით აქა.

ამ სოფელში სცხოვრობს სულ ოთხმოცი კომლი კაცი. ამათში მხოლოდ, ერთად-ერთია აზნაური, დანარჩენი სულ გლეხები არიან. აქაურები რადგან მთა ადგილები უჭირავთ, ყოველ ზამთარს ნადირობენ ისე, რომ იანვრის თვიდგან მოკიდებული მარტის დამლევამდე ხუთი ქათამიც არ დაიკვლის იქაურს ოჯახებში, სულ ნანადირევსა სჭამენ. ჰხოცვენ კურდღელს, შაშვებს, გარეულ ტრედებს, ჩხართვებს, ტყის ქათმებს და სხ..

რაც შეეხება სწავლა-განათლებას, ამაზე აქაურები ცოტა მწყრალად ბრძანდებიან. აქამდე სკოლა არ არის ამ სოფელში და კარგი იქნებოდა, რომ ეხლა მაინც მოიფიქრონ ამ საგანზე. თითო-ოროლა ყმაწვილი ჭალატყიდამ დაიარება სასწავლებლად ს. ქვედა-საქარას, სადაც სკოლაა გამართული, რომელზედაც გაზეთ „ივერიაშიაც“ იყო მოხსენებული. ამ სკოლის მასწავლებელი, ბ-ნი ფ. ბარბაქაძე, ზოგს უფასოდ ასწავლის, ზოგს ფასსართმევს, მაგრამ იმასაც ცოტას, სულ სამს მანეთს წელიწადში. ამიტომ ერთ სოფელს ვერა ნახამთ, სოფ. საქარის მახლობლად, საიდამაც ოროლი ბავშვი მაინც არ დადიოდეს საქარის სკოლაში.

ს. ბარბაქაძე

სამეურნეო გაზეთი „ცისკარი“.

დღეს ჩვენ ერთი სასიამოვნო ამბავი უნდა აღვნიშნოთ: ერთი თანამოძმე კიდევ მოგვემატა,—გუშინ მივიღეთ „სანიმუშო ნომერი“ ახალ გაზეთის „ცისკრისა“, რომელიც მომავალ წლის პირველ იანვრიდამ უნდა გამოვიდეს.

ახალი გაზეთი ჩვენ ღარიბ ჟურნალ-გაზეთობაში ძრიელ იშვიათი ხილია და ამიტომ მით უფრო დიდის სიამოვნებით მივესალმებით ჩვენს ახალს თანა-მოძმეს. გაზეთი, როგორც სათაურიდამა სჩანს, სამეურნეოა, ე. ი. გაზეთს განუზრახავს ჩვენის ქვეყნის მეურნეობას, მიწის კეთებას, მუშაობას და განკარგებას თვალ-ყური ადევნოს და შეძლების დაგვარად გზა უჩვენოს და ხელი მოუმართოს მიწის მომქმედსა. სწორედ სასარგებლო, სამადლობელი და მეტის-მეტი სახეირო აზრია.

> ჩვენ ეს (გაზეთი) მიგვაჩნია სკოლად, ჩვენი*) ქვეყნის ხალხი—მოსწავლედ და ვიწვევთ გულ-წრფელად მასწავლებლებს, იმ უანგარო მშრომლებს, რომლებსაც ჩვენი სასოფლო მეურნეობის ფეხზე წამოყენება კისრად უდვიათ, რომელნიც გულ-მოდგინედ შესდგომიან ამ ხალხის სიღარიბისაგან გამომხსნელ შრომას და სწამთ, რომ მათი სპეციალური საგანი ერის მომავალი ბედნიერების სათავეა.

---

*) მართლ-წერა დედანისაა.

შესაბრალისი სანახავია. მეტის-მეტის თრიაქის ჭამით იქამდინ მისულა, რომ თითქმის ადამიანის სახე აღარ აღევს. დამანჭული და გაცრეცილი პირი-სახე, ჩამძვრალის, ჩაყვითლებულის თვალებით, სამარითგან ამოღებულ ოდესმე სულდგმულ ადამიანის აჩრდილს მოგვაგონებთ. ასში ხუთი არ მოიპოვება, რომელიც არა ჰხმარობდეს ადამიანის სიცოცხლის მომკლებელს თრიაქსა. ასე თვითონვე იწამლენ და იმოკლებენ სიცოცხლეს!..

V

ვაჭრობა ამ ქალაქში კარგია და გაცილებით მაღლა სდგას, ვიდრე სხვა სპარსეთის ქალაქებში. ისე დღე არ გავა, რომ 2000 და უფრო მეტი ცხენოსანი მგზავრი არ მოხვდეს, ქელბელაში მიმავალი, ბაღდადის ახლოს, სადაც ასაფლავია ალიას შვილები ჰასანა და ჰუსეინა. მთელის სპარსეთის მხარეებიდამ დიდ-ძალი ხალხი მიდის ამათ სასაფლაოს სამთხვეველად და ამ ხალხმა უსათუოდ ქირმანშაიზე უნდა გაიაროს. რასაკვირველია, ამოდენა ხალხის მოძრაობა ცოტა სარგებლობას არ მოუტანს აქაურს ვაჭრებს! მთელი ბაზარი დახურულია და შეკრული აგურის თაღებით. ბაზარში რამდენიმე ქარვასლაა. ამათში მხოლოდ ერთი ორ-სართულიანი ქარვასლა ინახება სუფთად და სხვებზედ ბევრით უკეთესადაც არის ნაშენი, ცოტა არ იყოს ევროპიულს შენობას მოგვაგონებთ. ეს ქარვასლა ეკუთვნის ჰაჯი-ალა-ჰასან ვექილ-დოვლეს და ამიტომ მისივე სახელი ჰქვიან.

მთელი ვაჭრობა სპარსელების ხელშია, კარგადაც ვაჭრობენ და კარგ შეძლებასაც იძენენ. 6 კარგად შეძლებული ვაჭარი კიდევ ქრისტიანები არიან: სამი ამათგანი ბაღდადელია, ორი ქელდანია და ერთიც სომეხი. ამათ აღებ-მიცემა აქვთ საფრანგეთ-ოსმალეთთან და ზოგიერთ სპარსეთის ქალაქებთან. ევროპიდგან მოაქვთ ჩაი, შაქარი, ფარჩეულობა, მაუდი და სხვა. ამ საქონელს ურიგებენ ქირმანშაის გარშემო ქალაქის ვაჭრებს. აქედგან გააქვთ ქთირესი (ჩირგვის წებო), მატყლი, ბამბა, ხალიჩები, თრიაქი, თხის ტყავები, გუნდა (სპარსულად მაზუ) კვეი და სხვა.

მეოთხე ვაჭარს ქელდანს, სინა ქალაქითგან, იჯარით აქვს აღებული მთავრობისაგან ბეწვეულობა მელისა, მგლისა, კვერნისა, წავისა და სხვა კიდევ ამ გვარის ბეწვეულისა. ამათი გაყიდვა სხვა კაცს არ შეუძლიან. აქაურს ვაჭრებს რუსეთთან აღებ-მიცემობა თითქმის სრულებით არა აქვსთ. ერთად-ერთი ბეწვეულის მოიჯარადრე ვაჭარია მხოლოდ, რომელიც იარმუკაზე დაიარება ყოველ-წლივ. აქედგან მიაქვს ბეწვეული, ქთირე, ბატკნის ტყავი, კაკალი, ბაღდადის ხურმა და სხვა, და იქიდგან მოაქვს ფარჩეული, შუშეულობა და სხვა.

110-მდე მოსახლე ებრაელი სცხოვრობს აქა და საზოგადოდ, როგორც სხვა ყოველ ადგილას, ისე აქაც ყველანი ვაჭრები არიან. ღვინო და არაყი აქ იშვიათია საზოგადოდ და მხოლოდ ებრაელებში იშოვება. ესენი ჰსწურავენ ღვინოს და ჰხდიან საუკეთესო ქიშმიშის არაყს. მხოლოდ არაყის გაყიდვა კი ერთის მეტს არავის შეუძლიან, რომელსაც იჯარითა აქვს აღებული.

VI

შუა ქალაქში არის შაჰის ხარჯით აშენებული, სიგრძით 150 არშინი, სიგანით 80 არშინი, და სიმაღლით 8 არშინი, შენობა, რომელსაცა ეძახიან თოფხანას. თოფხანის გარეშემო 90-მდე წვრილი დუქნებია, სადაც მუშაობენ სხვა-და-სხვა ხელოსნები. თოფხანაში 6 ზარბაზანია, ყოველ დღე ყარაული სდგას. ეს ადგილი დანიშნულია ზურნა-ნაღარის და სამხედრო მუსიკის საკრავად. აქავ ვარჯიშობენ მეზარბაზნენი ყოველ დილას და საღამოს, აქავ დეპეშის გასაგზავნად სადგურია და მეორე მხარეს პატარა პირ-ლია სახლი, სადაც ზურნა-ნაღარას უკრავენ. მეზურნეებს ჯამაგირი ეძლევათ სახელმწიფო ხაზინითგან. შუა მეიდანზე არის წყლის აუზი, რომლის აქეთ-იქით მხარეს, ცოტა მოშორებით, ახლად გაკეთებული ორი ბაღია მშვენიერის ყვავილებით შემკული

VII

როგორც ამ ქალაქის, ისე მთელ ამ მხრის გამგებლად ითვლება შაჰის მეორე შვილი ზელე-სულთანი, რომელიც მუდმივ ისპაანში სცხოვრობს. თითქმის მეოთხედი ნაწილი სპარსეთისა ამის მბრძანებლობის ქვეშ არის. ზელე-სულთანი სასტიკი, ცხარე კაცია და ამიტომ ძრიელ ეშინიანთ ყოველ მის ქვეშევრდომთ. ამის გამო აქ ავაზაკობა ძრიელ იშვიათი შემთხვევაა. ზელე-სულთანის დიდი მადლობელნი უნდა ვიყვნეთ, თორემ ვინ შეიმაგრებდა იმისთანა ყაჩაღებს, როგორნიც არიან ქურდისტანელები და ლორისტანელები.*). ქირმანშაის მმართველობა ჩაბარებული აქვს ჰესამიდოვლესა (ემირს), რომლის მსაჯულება მოგვაგონებთ ჩვენს საქართველოში უწინდელს დიამბეგობის დროს.

ჰყავთ კიდევ მუშტეიდი, რომელსაც უპყრია სასულიერო სამართლის გამგეობა. ამის გარდაწყვეტილების დარღვევა თვით შაჰსაც არ შეუძლიან. კაცი, რა გინდ დიდი ავაზაკობა, დანაშაულობა ჩაედინოს, თუ მუშტეიდის სახლში თავის შეფარებას მოასწრობს, სრულიად უშიშრად არის, ამის სახლითგან ძალით გამოყვანის ნება არავისა აქვს.

---

*) ქირმანშაის ჩრდილოეთით მდებარეობს ქურდისტანი; ალმოსავლეთ და სამხრეთ შუა-კი ლორისტანი.

ამას ამბობს რედაქცია თავის მეთაურს წერილში. ამაში იხატება გაზეთის დანიშნულება, ეს არის რედაქციის აღსარება საზოგადოების წინაშე, ეს არის ესრედ-წოდებული „professione de foi". თუმცა რედაქციის დედა-აზრი ცოტა ბუნდად და საზოგადოდ არის გამოთქმული, მაგრამ მაინც ღმერთმა ხელი მოუმართოს, ღმერთმა ჰქმნას, რომ ჩვენმა ახალმა თანა-მოძმემ შესძლოს ამ მძიმე ტვირთის ატანა, ზიდვა და შეასრულოს ის ძნელი მოვალეობა, რომელიც მას უკისრნია.

შემდეგ იმავე მეთაურს წერილში ვკითხულობთ:

> თვითეულს წევრს საზოგადოებისას სრულს უფლებას ვაძლევთ სასაყვედურო გვისაყვედუროს, შეცდომის გასწორება მოგვთხოვოს.

ჩვენც, როგორც საზოგადოების ერთი წევრი, ვსარგებლობთ ამ გაზეთის მიერ მონიჭებულის უფლებით და ვუჩვენებთ ზოგიერთ შეცდომას, მერე ისეთს შეცდომას, რომელიც არ მიეტევება არავის და მეტადრე იმას, ვინც საზოგადოების ხელთ-მძღვანელობას ჰჩემობს.

ამისთანა გაზეთში, როგორც სამეურნოა, აუცილებლად საჭიროა, რომ კაცმა თავისი აზრი გარკვევით, ადვილად გასაგებად გაუხადოს მკითხველსა ყველგან და მეტადრე საჭიროა ეს ჩვენში, სადაც სამეცნიერო ენა სრულიად ფეხ-მოკლე და გაუწრთვნელია და მკითხველიც ძალიან ნაკლებად არის მომზადებული სამეცნიერო საგანთათვის. აბა ახლა წაიკითხეთ ეს ადგილი წერილიდამ: „მამულის შემუშავება":

> მიწა, შრომა და თანხა არიან უპირველესნი საშუალებანი მამულის პატრონისათვის. ხერხიანად რომ აირჩევს კაცი და მოიხმარებს იმ საშუალებასა, მაშინ მხოლოდ გაიმარჯვებს ამ საქმეში. ხერხიანად არჩევისა და მოხმარებისათვის საჭიროა ცნობა, ამ ცნობას (?) გვაძლევს: დათვალიერება, გამოცდა და სწავლა. დათვალიერება ის არის, როცა კაცი დაინახავს და დაისწავლის რასმე ბუნებითს, თავის-თავად მომხდარს მოქმედებასა, რომელშიაც თვით დამთვალიერებელს არაფერი მონაწილეობა არ მიუღია; გამოცდა არის ბუნებითი მოქმედება, ანუ ფაქტი, რომელიცა კაცს მოუხდენია, რომ შეიტყოს, რა შეუდგება ერთს ანუ მეორე საშუალობასა.

ჯერ ერთი მკითხველს უნდა უთუოდ ჰყვანდეს კაცი, რომელმაც აუხსნას, რის თქმა უნდოდა ავტორსა. და მეორე—რას ჰნიშნავს ეს სიტყვები: „ცნობას გვაძლევს: დათვალიერება, გამოცდა და სწავლა." ცხადია, აქ ავტორს ერთმანეთში აურევია ორი სრულებით სხვა-და-სხვა სიტყვა, რომელსაც სრულიად სხვა-და-სხვა მნიშვნელობა აქვს. ცნობა—ამბავია, ანუ როგორც რუსები უძახიან „извѣстіе". ჩვენ ვგონებთ, რომ ავტორს ამის თქმა არ უნდოდა და «ცნობა» და «ცოდნა» ანუ უკეთ მეცნიერება (наука) ერთმანეთში აურევია. ცნობის გულისათვის საჭირო არ არის „დათვალიერება (?) გამოცდა (?) და სწავლა (?)".

ამ გვარი შეცდომები კიდევ, როგორც იყოს, მიეტევება გაზეთს, მაგრამ ისეთი შეცდომები კი, როგორიც „ჰიგიენაში" შეგვხვდა, სრულიად შესაწყნარებელი არ არის და დიდ დანაშაულებადაც მიგვაჩნია, რადგან ადამიანის სიცოცხლეს შეეხება აქ მოქცეული დარიგება, და ამ გვარ ცნობებს გაზეთი დიდის სიფრთხილით უნდა მოექცეს, თორემ შეიძლება სარგებლობის მაგიერ ვნება მოუტანოს. მაგალითად, გაზეთი გვიწერს, როგორ უნდა ცოფის წამლობა და სხვათა შორის ამბობს:

> უნდა ჩაუშვათ წყრულში ქაფურის სპირტი (?) (нашатырный спиртъ).

ეს დიდი შეცდომაა: „нашатырный Спиртъ"-ი, „нашатыръ"-ი ქაფური კი არ არის, ნიშადურია ქართულად და ქაფური კი „комфора"-ა. ნიშადური და ქაფური სულ სხვა-და-სხვა ნივთიერებაა და სხვა-და-სხვა თვისება აქვთ. ასე რომ, შესაძლოა იქ, სადაც ნიშადური წამლად გამოდგება, ქაფური საწამლავად შეიქმნას.

დიფტერიტისათვის (ხუნაგი) გაზეთი ურჩევს წამლად „რკინი კვიპაროზს(?)". ეს რაღაა? კვიპაროზი ხე კი გაგვიგონია, და თუ რაღაც „რკინის კვიპაროზიც" ყოფილა, ეს პირველად გვესმის. ეს „რკინის კვიპაროზი", როგორც სჩანს, გახლავთ „желѣзный купоросъ" ე. ი. ქართულად რომ ვსთქვათ: შაბიამანი, არჯასპი რკინისა, სპილენძისა, თუ სხვა ლითონისა.

„ბერტოლეს მარილი" გაზეთს „бортолотовая соль"-ად გადუკეთებია. იმ კაცის გვარი, რომელმაც პირველად ეს მარილი მოიგონა, ბერტოლე იყო და ამიტომ ბერტოლეს მარილი დაარქვეს. გაზეთს ბერტოლე ალბად რაღაც ნივთიერება ჰგონებია და ის კი დაჰვიწყებიათ, რომ იგი კაცის სახელია და უთარგმნელადაც შეეძლოთ „ბერტოლეს მარილი" ეთქვათ.

აი ხოლერაზე კიდევ რას გვაუწყებს გაზეთი:

> ბევრნი ამბობენ ეს სენი (ხოლერა) ჰაერის ცვლილებისაგან წარმოსდგებაო.

არ ვიცით, ვინ ამბობს ეხლა ამას. ეტყობა გაზეთს ეს ცნობა ალა-მაჰმად-ხანის დროის წიგნებიდამ ამოუკითხნია. სხვა რომ არა იყოს-რა, რამდენი ყაყანი და ლაპარაკი იყო გაზეთებში გერმანიის მეცნიერის კოხის თვალისათვის უჩინარ პაწია ცხოველებზე (зопятообразныя бацилы Коха). როგორ არ შეუტყვია გაზეთს ის ამბავი, რომელმაც მთელი ქვეყანა შემოირბინა, რომ ერთი ისპანიელი ექიმი ფერრანი უცრიდა კიდეც ხოლერას ისე, როგორც უცრიან, მაგალითად, ყვავილს. ნუ თუ გაზეთის აზრით, ფერრანი ჰაერის ცვალებას უცრიდა ავად-მყოფსა! საკმაოა ესეც. ჩვენ ასე დაწვრილებით იმიტომ ვუჩვენეთ გაზეთს ეს შეცდომები, რომ შემდეგში ასე ადვილად არ მოეპყრას საქმეს. ვიმეორებთ, ასეთი შეცდომა ადამიანის სიცოცხლეს, ჯანის სიმთელეს შეეხება და გაზეთს დიდი სიფრთხილე ჰმართებს, რომ სადაც საჭიროა ნიშადურის წყალი, იქ ამის მაგიერ ავად-მყოფს ქაფურის წყალი არ დაალევინოს. ჩვენ ამას უცოდინარობას კი არა, უყურადღებობას ვაწერთ რედაქციის მხრივ. და ასეთი უყურადღებობა შესაწყნარებელი არ არის, მეტი რომ არა ვსთქვათ. სხვა რომ არა იყოს-რა, განა ძნელი იყო დალოცვილებს ჩუბინაშვილის ლექსიკონში ჩაეხედნათ.

„ხოლერა ჰაერის მოძრაობისაგან წარმოსდგებაო!" ეს ხომ მტკნარი უმეცრებაა და ამასთან სასაცილოც. ქარიც ჰაერის მოძრაობისავან წარმოსდგება, —ეს ბავშმაც იცის, —მაშ ქარიც ხოლერა უნდა იყოს.

თუმცა ეს პირველი ნომერი გაზეთისა სანიმუშო ნომერია და, მაშასადამე, სამაგალითოდ შედგენილი უნდა იყოს, მაგრამ რადგანაც ყოველი დასაწყისი ძნელია, ხსენებულნი შეცდომანიც მაგ სიძნელეს უნდა დავაბრალოთ. ზოგჯერ პირველი სიტყვა კარგს მთქმელსაც ვერ მოუვა ხოლმე, თუნდა სამაგალითოდაც თქმა უნდოდეს. ეს ვიქონიოთ სახეში და ამ პირველს ხანადვე ნუ დავკარგავთ იმედს, რომ ეს ახალი გაზეთი თავის კეთილს განზრახვას ღირსებისამებრ შეასრულებს. ჩვენ თუ აქ შევნიშნეთ ზოგიერთი შეცდომანი, მარტო იმის გულისათვის, რომ პირველი, ჩვენებურმა ერმა გული არ გაიხეთქოს, ყოველ ჰაერის ცვლილებაზედ და არ იფიქროს, აქაო და ჰაერი გამოიცვალა, ხოლერაც დაგვემართებაო! მეორე იმისათვის, რომ სადაც, გაზეთის სიტყვით, ნიშადურია წამლად ცნობილი იქ ქაფურს ხელი არა ჰქონდეს და სადაც შაბიამანია, იქ კვიპაროზსა. ამისთანა შეცდომას შესაძლოა დიდი უბედურება მოჰყვეს და წამლად ნარჩევი საწამლავად გადაექცეს ადამიანსა.

ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

მიყრუებულს ასტრახანს გაუსწვრია სხვა ქალაქებისთვის. ერთს ასტრახნელს ვაჭარს სწორედ ამერიკული განცხადება მოუგონია.

> ერთს ასტრახნელს ვაჭარს, —მოგვითხრობს გაზეთი „Русскій Вѣдомости": შემდეგი ხერხი მოუგონია თავის საქონლის გასასაღებლად. გაუკეთებია ერთი ოთხკუთხიანი ყუთი, უთავო და უძირო, ყუთის ყველა მხარეზე ტილო გაუკრავს და ტილოზე მსხვილის ასოებით დაუწერია: „ასეთი სიაფე ჯერ არა ყოფილაო". ეს ყუთი ვაჭარს აუკიდნია ერთ თავის მოჯამაგირისათვის და გაუგზავნია ქუჩა-ქუჩა დასატარებლად. ამ უცნაურ, მოძრავ განცხადებას დიდ-ძალი ხალხი აჰყოლებია ქუჩებში და ყველას ყურადღება მიუქცევია!

ვაჭარსაც, რასაკვირველია, ეს უნდოდა!...

უცხოეთი

საფრანგეთი. ამ ბოლოს დროს საფრანგეთისა და გერმანიის გაზეთები ომს წინასწარმეტყველობენ. საფრანგეთის დეპუტატთა პალატის სამხედრო კამისიის სხდომაში 5 დეკემბერს გენერალ ბულანჟეს სიტყვა წარმოუთქვამს და უთხოვნია, რომ რაც შეიძლებოდეს ჩქარა განიხილეთ ჩემ-მიერ შემოტანილი კანონ-პროექტი საფრანგეთის ჯარის მოწყობისა და შეიარაღებისაო. ამბობენ, ბულანჟემ კამისიის წევრებს უთხრა: ომი უეჭველად მოსალოდნელიაო, ამის დამამტკიცებელი საბუთებიც წარუდგინა და ამასთან სთხოვა, რომ ჯერ-ჯერობით ეს საქმე ჩვენ შორის დარჩეს და ნურავის გასნდობთო. მეორე დღეს კლემანსოს დეპუტატებისათვის კერძოდ არა-სანუგეშო ამბავი უამბნია, დეპუტატებს შეშინებიათ, პარიჟის ბირჟაზედ იმ დღეს დიდი შიში ზარი ყოფილა, რომელსაც იმათი ხსნიან, რომ ერთი ბირჟის შეძლებული შუა-კაცი გაკოტრდაო. კლემანსოს გაზეთს „Justice"-ში დაბეჭდილია ერთი წერილი კამილ პელეტანისა, რომელშიაც ის აზრია გატარებული, რომ მშვიდობიანობა დიდხანს ვერ იმეფებს ევროპაში და გერმანია საფრანგეთთან საომრად ემზადებაო. ამავე ამბის გამო შვეიცარიის შეიარაღებასაც მიაქცია თურმე ყურადღება მმართებლობამ საფრანგეთისამ. საფრანგეთი რაც შეუძლიან ემზადება ომისათვის. თუ შვეიცარიის ჯარებიც საზღვრად გახდება, არც ეს საქმე დაიყოვნებს და შეუკრავს ფეხს საფრანგეთსაო. შვეიცარია მარტო იმის ზრუნვაშია, რომ თავის სამფლობელოს საზღვრები დაიცვას. გაზ. „Standard"-ი ამბობს, რომ ამ ბოლოს დროს ევროპის მშვიდობიანობას თან-და-თან უფრო დიდი საფრთხე და შიში მოელისო.

— გაზ. „Times"-ის პარიჟელ კორესპონდენტს ამას წინად ულაპარაკნია საფრანგეთის გარეშე საქმეთა მინისტრ ფლურანსთან. მე მითხრესო, უთქვამს ფლურანსს, რომ თუ ბოლგარიის დეპუტაცია მოვიდა საფრანგეთში, მეტად გაჭირვებულ მდგომარეობაში ჩაგვაყენებთო. ბოლგარიის დეპუტაცია დამოუკიდებლობასა და თავისუფლებასა ჰთხოულობს ბოლგარიისათვის, ამას უფლება თვით ბერლინის ხელ-შეკრულობის ძალითა აქვსთ მინიჭებული ბოლგარებს და ნუ თუ ამასთანა კანონიერს თხოვნაზედ უარს ეტყვითო. ამასთან რუსეთთან ისეთ მეგობრულს განწყობილებაშია ეხლა საფრანგეთი, რომ პირ-და-პირ ვერ გაუშლის საფრანგეთი ბოლგარიის დეპუტაციას გულსაო. თუმცა ასე ამბო-

---

უცხოელთათვის დანიშნულია ერთი ბაღდადელი შია, სახელად ჰაჯი-ალა-ჰასან ვექილ-ჩაპაი, რომელსაც დოვლეს უწოდებენ (ე. ი. ოთხის სახელმწიფოს ვექილი). ამ ვექილის მოვალეობაა უცხო სახელმწიფოების ქვეშევრდომებს ყური ადევნოს და აქაურ მმართველებს ნება არ მისცეს იმათის დაჩაგვრისა.

VIII

იქნება მკითხველებისათვის მეტი არ იყოს აღვწერო, თუ როგორ დღესასწაულობენ აქ შაჰის დაბადების დღეს.

გათენდა ოქტომბრის 21 დღე. ეს დღე ნასრედდინ-შაჰის დაბადების წინა-დღეა. ყველა ვაჭარი, ხელოსანი, დიდი თუ პატარა რაღაც ფაცი-ფუცშია, რაღასაც ემზადებიან. ყველას ჰსურს დიდს დღესასწაულს დიდის ამბით მიეგებოს. აგერ დაღამდა კიდეც. ღმერთო ჩემო, რას ვხედავ! აქამდე ჩამომხმარ და გაცრეცილ სახეს რაღაც მხიარულების ფერი დასდებია; ყველას პირზედ ღიმილი მოსდის და ხალხის მხიარულებას საზღვარი არა აქვს. უყურებ, არა გჯერა და ეკითხები შენ თავს: ნუ თუ ეს სხვა დროს ბინძური ხალხი ეხლა რაღაცა სისუფთავის სურვილს აუტაცნია? ყველას თავისი კვამლით გაჭვარტლული დუქნის კედლები შიგნით თუ გარეთ მშვენიერის ხალებით და წითელ-ყვითელ ფარჩეულობით გაუმშვენებია, ყველას დუქანი გაუნათებია ჩირაღდნებით, ლამპრებით, კარტოფილის სანთლებით და ფერადის ფარნებით. აი ვექილ-დოვლეს ქარვასლის წინ მთელი დედამიწა მოფენილია ფერად-ფერადის ხალებით და დორებითა. შეჰხედეთ რა ნაირად ბრწყინავს იქაურობა, თითქოს ნათლით მოფენილიაო! აი ვაჭრები ჰრთავენ თავიანთ კარ-მიდამოს, ასობით გამოფენილს შანდნებს და ლამპრებს მშვენიერად და მწყობრად ვარდ-ყვავილებით ამკობენ და გარს ევლებიან, თითქოს ერთმანერთს ეჯიბრებიანო და ცდილობენ, რომ როდესაც ამ ქარვასლაში ემირი მოვა, სულ ხუთის წამით, ღირსეულად პატივი სცენ, კარგად დაუხვდნენ და თავი მოაწონონო.

თოფხანაც მშვენივრად არის მორთული. მთელი მიდამო, ორივე ბაღები და ბანის გარშემო სხვა-და-სხვა ცეცხლის სათამაშოებით, შუშხუნებით და ჩირაღდნებით არის გაჩაღებული. მთელი მოედანი და ბანები ხალხით არის გაჭედილი. ხალხის ხმაურობით ყურთა სმენა აღარ არის. დეპეშის გასაგზავნი სადგური დიდ-კაცობით, ხანებით და ბეგებით არის გავსებული. ნაღარა-ხანითგან ზურნადაფის ხმაურობას და ნაღარის ღრიალს მთელი არე-მარე მოუცავს. აი შესწყდა ნაღარის საზარი ხმა. მის ნაცვლად მოისმა სალამურის საამური კვნესა. მომღერლები დასძახიან ახლად შემოღებულ სიმღერას. ხალხი ალტაცებაში მოდის, ზღვასავით ღელავს, სიხარულს საზღვარი არა აქვს და ყველა ბედნიერად სთვლის თავის თავს. აგერ ევროპიულად ჩაცმულნი, წითელის მაუდის ტანისამოსით, მემუსიკენი მწკრივად მოვიდნენ და დეპეშის სადგურის წინ დადგნენ. ბოლოს მობრძანდა ემირიც და მისთვის დანიშნულ ცალკე ოთახში შებრძანდა. ემირის წინ დაბლა ჩაჰბერეს საკრავებს... ასტყდა საშინელის ნაღარის და სხვა-და-სხვა საკრავების არეულ-დარეული ხმა... დადგა საშინელი ქღრიამული და შედლუხი. აგერ მემუსიკეთა გვერდით აჟღერენ ჭიანურს, დაირას და დიპლიპიტოს. ამათ წინ დახტიან მუტრიბნი. ერთს 10—11 წლის ყმაწვილს, ოთხ-ფერის ფარჩის უწელო მოკლე კაბა გადაუცვამს, მეორეს მაიმუნის მზგავსად უშნოდ დაღმეჭილს კაცს უცნაური წოწოლა ქუდი დაუხურავს, ორივენი მასხარობენ და ერთმანერთს ეკამათებიან ვითომ ემირის შესაქცევად. აგერ დაიწყეს ნაირ-ნაირის შუშხუნების და სხვა-და-სხვა ცეცხლის სათამაშოების სროლა. ერთი ხანი გვერდით მიდგა და გაკვირვებით, გაოცებით შეჰყურებს ვითომ ამ საკვირველ და საოცარს სანახავს და თან მეკითხება:

—როგორია გურჯო? კარგად მოგეწონა, არა?

—ნეტარ ხართ თქვენ! იცინეთ, იმხიარულეთ და დაატკბეთ თქვენი ოცნება!..

IX

გათავდა შედლუხი და შუშხუნების სროლა. ხალხი ნელ-ნელა დაიძრა. მუტრიბთ უფროსის ხმა-მაღლა კივილი გაისმის. ემირი მხურვალედ ჰლოცავს შაჰსა...

ღამის თერთმეტი საათი სრულდება. ემირი თავის სადგომში წაბრძანდა და მიიწვია ვახშმად რამდენიმე ხანი... ცოტა კიდევ, —და ხალხით სავსე და მღელვარე თოფხანის მოედანზე ჩამოვარდა სრული სიჩუმე. ობლად დარჩენილ და მჭმუნვარებით მოცულ მის მიდამოს შავი ბურუსი გადაეფარა.

X

აი გათენდა მეორე დღე, შაჰის დაბადების დღე. დილის 10 საათზედ დაიწყეს ქალაქ გარეთ ზარბაზნების სროლა. რამდენის წლისაც არის შაჰი, იმდენჯერ უნდა გაისროლონ ზარბაზანი. ამ სახით აღმოჩნდა, რომ ნასრედდინ-შაჰი 54 წლისა ყოფილა.

ფერდინანდ სამცხელი

ქირმანში, 24 ოქტომბერს.

ბენ სხვები, მაგრამ მე ასე არა მგონია. ჩვენ ისეთსავე მდგომარეობაში ვართ ბოლგარიის მიმართ, როგორც გერმანია. ჩვენ მარტო შუამავლობა შეგვიძლიან ბოლგარიისა და რუსეთის შორის და, გარწმუნებთ, რომ ისევე მივიღებ დეპუტატებს და დავუხვდები, როგორც ბერლინში მიიღებენო.

ინგლისი. დუბლინის ოფიციალურს გაზეთში ამას წინად დაბეჭდილი ყოფილა ინგლისის მთავრობის პროკლამაცია სერ გიქს ბიჩის მიერ ხელ-მოწერილი. სერ გიქს ბიჩი სტატს-სეკრეტარია ირლანდიის საქმეთა გამგეობისა. აი ეს პროკლამაცია: „ამ ბოლოს დროს ირლანდიაში ბევრნი ბოროტ-მოქმედნი გამოჩნდნენ, რომელნიც ჩვენს მთავრობას ხელს უშლიან, ირლანდიის მამულთ-მფლობელთა და ფერმერების საქმეში ერევიან და უკანასკნელებს მამულთ-მფლობელთა წინააღმდეგ აქეზებენ. ეს ბოროტ-მოქმედნი ურჩევენ ფერმერებს, რომ მამულთ-მეპატრონეთ იჯარის ფულს ნუ მისცემთ და ეგ ფული იმათ მიეცით, რომელნიც ირლანდიის განთავისუფლებისა და კეთილ-დღეობისათვის მოღვაწეობენო. ამიტომ ამიერითგან ვაცხადებთ, რომ ყველა ინგლისის მთავრობის მოწინააღმდეგე სამართალში მიიცემა და დასჯილ იქმნება, თუ სიტყვითაც არის ამბოხებისა და ურჩობის ჩამოგდებას მოიწადინებს მეიჯარეთა შორის.»

— ამავე პროკლამაციის თანახმად, ინგლისის მთავრობას ბრძანება მიუცია, რომ დუბლინში დატუსაღებულ იქმნენ: დილლონი, ო'ბრიენი, გარრისი, შიგი, რედმონდი და კრილლი. ამ ბოროტ-მოქმედთა და მეამბოხეთა საქმეს თვით დუბლინში განიხილავენო.

— ამას წინად კორკის სასამართლოს რამდენისამე ირლანდიის მეამბოხეთა საქმე განუხილავს და 12-ისა და 18-ის თვეით დაპატიმრება გადუწყვეტია. ერთის უმაწვილის კაცისათვის ხუთის წლით დაპატიმრება გადუწყვეტიათ იმის გამო, რომ ინგლისის ერთ გავლენიან პირისათვის წერილი მიუწერია და დაჰმუქრებია.

გერმანია. გერმანიის კამისიის მიერ სამხედრო კანონ-პროექტის განხილვის დროს სამხედრო მინისტრს უთქვამს: პარიჟითგან ამბავი მომივიდა, რომ სამხედრო კამისიას საფრანგეთის პალატისას გადაუწყვეტია: რადგან ბულანჟეს სამხედრო პროექტის განხილვამ შეიძლება დიდხანს გასტანოს, ამიტომ ამ პროექტის ორ მუხლს ახლავე მივაქციოთ ყურადღება და ადრევე განვიხილოთო. ეს ორი მუხლი პროექტისა ახალის ჯარის მოკრებასა და უნტერ-ოფიცრების საქმეს შეეხებაო. რიხტერს უპასუხნია სამხედრო მინისტრისათვის, რომ ეგ ამბავი ახალი ამბავი არ არის, ამ ოთხის დღის წინად იყო დაბეჭდილი გაზ. „Francfurter Zeitung"-შიო და იმის მომასწავებელია, რომ გერმანიის კანონ-პროექტს ისე ხსნიან, ვითომ გერმანია ომს არის მოწადინებულიო და მეც მაგისა მეფიქრებოდაო.

— გაზ. „Freisinnige Zeitung"-ში დაბეჭდილია, რომ თვით ბისმარკის მომხრეებმაც კი არ იციან სწორედ, რის მოსურნეა დიდი კანცლერი, რა აზრისაა ევროპის ეხლანდელს პოლიტიკურს მდგომარეობაზეო. ამ გაზეთის სიტყვით, ერთს გავლენიანს კონსერვატორთა დასის წევრს უთქვამს: „ჩვენ, კონსერვატორებმა, თითონაც არ ვიცით, განსაკუთრებით რას უფრო არის მოწადინებული თავადი ბისმარკი; ეს არის მიზეზი, რომ არ ვიცით, რა შეგვიძლიან დავუთმოთ მეორე დასსა და რას გაუწიოთ წინააღმდეგობა. ვგონებ, არც სამხედრო მინისტრმა იცის ბისმარკის აზრი. თუ ბისმარკი გარეშე პოლიტიკას ატყობს, რომ ომი აუცილებელია, რასაკვირველია, ომის მოსურნე უნდა იყოს და კანონ-პროექტის დამტკიცებას უნდა ცდილობდესო, და თუ ევროპაში მშვიდობიანობა და წესიერება არ დაირღვევა, მაშინ სამხედრო კანონ-პროექტს დიდი მნიშვნელობა აღარ ექმნება და, იქნება, თ. ბისმარკმა ახალი სამინისტრო შეადგინოსო.

— გერმანიის ერთს მეტად გავლენიან სოციალ-დემოკრატს, ლიბკნეხტს, გერმანიაში წასვლის დროს აი რა უთქვამს ნიუ-იორკში, როგორც სწერს გაზ. „Norddeutsche Allgemeine Zeitung"-ი: „როცა მე ვიტყვი, რომ ეხლა კი დროა და ხმლები უნდა ვიშიშვლოთო, გერმანიის სოციალისტები დაიჯერებენ, რომ ბრძოლის დრო მოსულაო. დარწმუნებული ვარ, რომ ჩემს სიტყვას აჰყვებიან და ამიტომ ფრთხილად ვიქცევი, არ მინდა ტყუილ-უბრალოდ სისხლი დაიღვაროსო. როცა დრო მოვა და ბრძოლა აუცილებელი იქმნება, მაშინ მე თვითონ ავიღებ ხელში იარაღს და ბრძოლის ველზე გავალო."

ოსმალეთი. ვენიდგან დეპეშით აუწყებენ გაზ. «Новости»-ს: აქ მოსულის ამბებითგანა სჩანს, რომ ინგლისის აგენტებს განზრახვა აქვსთ მაკედონიაში ამბოხება მოახდინონო. ოსმალეთის მთავრობა ყოველ შემთხვევისთვის მზად არის და ამ ჟამად მაკედონიაში 113 ბატალიონი ქვეითა ჯარი ჰყავს, 5 კავალერიის რაზმი და 32 არტილერიის ბატალიონი.

ბოლგარია. სარეგენტო მთავრობას ბოლგარიისას მიუნდვია თავის წარმომადგენლისათვის სტამბოლში, ვოლკოვიჩისათვის, რომ დაეკითხე დიდს ვეზირს ოსმალეთისას, მიიღებს თუ არა სტამბოლში ბოლგარიის დეპუტაციას, როცა ეს დეპუტაცია ევროპას დიდ სახელმწიფოთაგან დაბრუნდებაო.

— ვენაში ხმა გავრცელებულა, რომ ბოლგარიაში დიდი ამბოხება და არეულობაა ამტყდარიო.

ავსტრი-ვენგრია. ავსტრიის მთავრობას ამერიკაში 400,000 მაუზერის თოფი შეუკვეთნია. ეს შეკვეთილი იარაღი მომავალ წლის მარტის თვეისათვის უნდა იყოს მზადაო.

გასართობი

დიდად სახელ-განთქმულს კაცებს ხშირად უცნაური ხასიათი სჭირთ ხოლმე. ინგლისის გამოჩენილს მათემატიკოსს ნიუტონსაც ერთი ასეთი ახირებული ხასიათი ჰქონდა. ნიუტონი მეტად მძიმე მეხსიერების პატრონი იყო. ერთხელ მოსამსახურემ კვერცხები შეუტანა დასანაყრებლად. კვერცხებთან შეუტანა აგრეთვე ადუღებული წყალი თოხლოდ კვერცხის მოსახარშად და საათი. „სულ სამი წუთი უნდა იყოს კვერცხი ცხელ წყალში, რომ თოხლოდ მოიხარშოსო": უთხრა მოსამსახურემ ნიუტონს.

— კარგი წადიო,—გაისტუმრა ნიუტონმა მოსამსახურე. მერე გაერთო ფიქრებში, მდუღარეში საათი ჩასდო კვერცხის მაგიერ და კვერცხი კი საათი ეგონა, ხელში დაიჭირა და დასცქეროდა, ავა სამი წუთი როდის გაივლისო.

**

ნაპოლეონ I-სა ჰკითხეს, რომელი ქვეყანა უფრო კარგია და მშვენიერი მთელს დედამიწის ზურგზედაო?

ნაპოლეონმა უპასუხა:

— ლონდონში—ინგლისიო, პეტერბურგში—რუსეთიო, ვენაში—ავსტრია; ბერლინში—პრუსია, მაგრამ ევროპაში-კი საფრანგეთიო.

**

უხეირო მელექსე. ერთმა უხეირო ლექსების მჯღაბნელმა წაუკითხა ერთხელ ვოლტერს თავისი პოემა, რომელსაც სახელად ერქვა „შთამომავლობის მიმართ" და ჰკითხა:

— როგორ მოგწონთ ჩემი ლექსებიო?

— დიახ, მე მგონია, რომ თქვენი ლექსები ვერ მიაღწევს იმათ, ვისთვისაც თქვენ დაგიწერიათო, უპასუხა ვოლტერმა.

დეპეშა

16 დეკემბერი

პეტერბურგი. უმაღლესად ნაბძანებია: ყოველი მამულის ნასყიდობის მოწმობანი მიცემულნი დასავლეთ მხარეში მამულის შეძენისათვის 27 ნოემბრის 1884 წ. წესდების გამოცემამდე, გაუქმდეს როგორც რუსთათვის, ისე არა რუსთათვისაო. ნება ჰქონდეთ იქაურ გენერალ-გუბერნატორებსა და გუბერნატორებს, როგორც თითონ საჭიროდ დაინახონ, ისე მისცენ ახალი მოწმობანი ამ საგანისათვისა. იმ მე-17 რიგის სახელმწიფო ხაზინის ბილეთების მაგიერ, რომელიც გამოიცა 1879 წ. და რომელიც უნდა გაბათილებულ იქმნას 1887 წ. უმაღლესად გადაწყვეტილია გამოსცენ ახლად 17 რიგი სხვა ამ ნაირისავე ბილეთებისა. 10 რიგი იქნება ხუთ-ხუთ თუმნიანი კუპონებით, 4 რიგი ათ-ათ თუმნიანი კუპონებით და 3 რიგიც ათ-ათ თუმნიანი უკუპონებოთ. პირველი 14 რიგი 42 მილიონისა იქნება და გამოიცემა 8 წლის ვადით, დანარჩენი 3 რიგი იქნება 9 მილიონისა და 4 წლის ვადით. ფასი პირველი 10 რიგის ბილეთებისა იქნება ხუთ-ხუთი თუმანი, მეორე 4-ისა და 3-ს რიგებისა ათ-ათი თუმანი. სარგებელი ყველა ბილეთებისა იქნება წელიწადში 3,79. უკანასკნელის სამის წლის სარგებელი მიეთვლება წარსულის წლის სარგებელს. ხაზინა ბილეთებს ყველგან ფულის მაგიერ მიიღებს.

სარატოვი. 7 აგვისტოს რომ გემი «Вѣра» დაიღუპა, ეს საქმე ახლა განიხილა სასამართლომ და ბრალდებულთ კაპიტან ალიაკრინცევს და ლოცმან ჩერნიშოვს განუჩინა ოთხი თვით ციხე.

კიევი. გაზეთი „Кіевское Слово" იქნება ყოველ-დღიური და არა საკვირაო.

ბელგრადი. რუშჩუკის ოლქში გამოცხადებულია შიშიანობის წესი. ბოლგარია კვლავ სცდილობს შიშის ზარი დასცეს ქვეყანასაო.

17 დეკემბერს.

ლონდონი. თუ ვინიცობაა გარტინგტონი არ შევა ეხლანდელს სამინისტროში, სალისბერი დაითხოვს პარლამენტსა.

მთელს ინგლისში საშინელი ქარტეხილი და გრიგალია. ლონდონში გრიგალს ბევრი რამ მიუნგრ-მოუნგრევია.

საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქედ ჩუპვ (1886) წელიწადია. ქვეყნის შექმნიდამ **7394**.

ძველი ინდიქტიონი მე-14, ამისი ქორონიკონი—უჲო=478 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.

ახალი ინდიქტიონი მე-4, ამისი ქორონიკონი—მბ=42 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.

1886 წლის ზედ-ნადები—3.

დეკემბერი 31 დღით არის

18 დღე ხუთშაბათი. წმ. სევასტიანე. კათოლ. მოლოდინი ყოვლად წმ. ქალწ. მარიამის დაბადებისა. სომეხ. წმ. ქალწ. ინდოსი და დომიანესი. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—2—49. ტფილისში მზე ამოდის 7—27, ჩადის 4—39; მთვარე ამოდის 10—38, ჩადის 9—24.

19 დღე პარასკევი. წმ. მოწ. ბონიფატე, გრიგოლ არხიეპისკ. კათოლ. 19-სა და 20-ს დღის ღვთის მსახურება. სომეხ. მარხვაა. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—3—18. ტფილისში მზე ამოდის 7—27, ჩადის 4—40; მთვარე ამოდის 11—8, ჩადის 10—21.

20 დღე შაბათი. მოწ. ეგნატისა ეპისკ. სომეხ. წმ. პირველ-მოწამ. სომეხთა მეფისა აზგარისა. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—8—47. ტფილისში მზე ამოდის 7—27, ჩადის 4—41; მთვარე ამოდის 11—35, ჩადის 11—22.

21 დღე კვირა. ქალწ. მოწ. იულიანასი. კათოლ. მე-4 კვირა ადვენტისა. სომეხ. მე-5 კვირა ჰისნაკის მარხვითგან (ქორწინების ნება ეძლევათ). ჭეშმარიტი შუა-დღე 12—4—25. ტფილისში მზე ამოდის 7—27, ჩადის 4—41; მთვარე ამოდის 12—1, ჩადის 12—0.

22 დღე ორშაბათი. დიდ. ქალწ. მოწ. ანასტასიასი. კათოლ. წმ. მოციქ. თომასი. სომეხ. წმ. აბრამ, ხორენ, კოსმა, დამიანე, ასტ. მოწ. ნახატონაქი. სახელწოდება მ. უმ. ანასტასია მიხეილის ასულისა. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—4—52; ტფილისში მზე ამოდის 7—27, ჩადის 4—42; მთვარე ამოდის 12—31, ჩადის 12—13.

23 დღე სამშაბათი. წმ. ათთა მოწამეთა კრიტელთა. კათოლ. დღის ღვთის-მსახურება. სომეხ. წმ. წინ.-მეტყ. დავითისა და წმ. იაკობ მოციქ. მუსულ. მე-11 რიცხვი თვისა რები-ულ-ახირისა, 1304 წ. ჰიჯრისა. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—5—20. ტფილისში მზე ამოდის 7—27, ჩადის 4—43; მთვარე ამოდის 1—1, ჩადის 1—10. მთვარე 10 დღისაა.

24 დღე ოთხშაბათი. წმ. ქალწ. მოწ. ევგენიასი. კვირაძალი იესო ქრისტეს შობისა. კათოლ. კვირაძალი იესო ქრისტეს შობისა. სომეხ. მარხვაა. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—5—46. ტფილისში მზე ამოდის 7—27, ჩადის 4—44; მთვარე ამოდის 1—35, ჩადის 2—10.

პეტერბურგის ბირჟა, 16-ს დეკემბერს 1886 წ.

ფასები:

	მსყიდველისა	გამსყიდველისა	გაყიდულისა
ხუთ მანათიანი ოქრო	8 მ. 83 კ.	—	
ტამოჟნის კუპონები	—	—	171½ მან.
5% პირველის შინაურის სესხის მოგები ბილეთი	—	—	243½ მან.
— მეორისა	—	—	224¼ მან.
გირავნობის ფურცელნი:			
ტფილისის ბანკისა	—	—	95½
ქუთაისის ბანკისა	—	—	95½

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„ივერია"

1887 წ. 1-ს იანვრიდამ გამოვა ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ-მოსდევენ კვირა-უქმეებს.

ფასი:

12 თვეით	10 მ. — კ.	6 თვეით	6 მ. — კ.
11 „	9 „ 50 „	5 „	5 „ 25 „
10 „	8 „ 75 „	4 „	4 „ 75 „
9 „	8 „ — „	3 „	3 „ 50 „
8 „	7 „ 25 „	2 „	2 „ 75 „
7 „	6 „ 50 „	1 „	1 „ 50 „

სამზღვარ-გარედ დაბარებული ეღირება—17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია" მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

Тифлисъ. Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ."

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისის გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი, სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თთვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმე გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თთვის პირველ დღიდამ გაეგზავნება. განცხადებანი მიიღებიან გაზეთის რედაქციაში.

ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:

ა) მეოთხე გვერდზედ თითო ჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, სოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზედ, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები (კორესპონდენციები) რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, ანუ საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ დასაბეჭდი ხელ-ნაწერები, თუ ერთის თთვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ დასაბეჭდთა ხელ-ნაწერების და წერილების შესახებ რედაქცია არა კისრულობს.

პირ-და-პირ მოლაპარაკებისთვის რედაქცია თავისუფალ იქნება ყოველ-დღე კვირა-უქმების გარდა პირველ საათიდამ სამს საათამდე და საღამოობით 7-დამ 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: ახალ-ბებუთოვის ქუჩა, სახლი ზუბალოვისა, № 9.

Дозв. ценз. Тиф. 17 декабря, 1886 г. Типографія „Кавказское Обозрѣніе" (Н. И. Френкель) Караван-Сарай Земельнаго Банка. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე